

ქუთაისში თიბისი ბანკის ახალი ფილიალი გაიხსნება

ბანკის მენეჯმენტი 7 თვის ფინანსურ შედეგებს შეაჯამებს და იღბლიან მენაბრეს დააჯილდოებს

პრესრელიზი

13 აგვისტო, 2009 - დღეს, 15:00 საათზე თიბისი ბანკი ახალ ფილიალს გახსნის ქუთაისში. ახალ ფილიალში თიბისი ბანკის მენეჯმენტი საზოგადოებას ბანკის მიმდინარე 7 თვის შედეგებს გააცნობს.

ღონისძიებაზე ასევე მოხდება, თიბისი ბანკის ანაბრების გათამაშებაში გამარჯვებული მენაბრის დაჯილდოება - ქუთაისელ ნესტან იაშვილს, საზეიმოდ გადაეცემა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის 5-ში მდებარე ახალი ბინის გასაღები.

ანაბრების წამახალისებელი გათამაშებას თიბისი უკვე მეორედ ახორციელებს. გათამაშების ფარგლებში, ბანკის მენაბრეებს აქვთ შანსი ყოველთვიურად მოიგონ ბინა, ხოლო ახალი წლის დამეს - 1 მილიონი ლარი.

ქალბატონი ნესტანი, უკვე მეოთხე იღბლიანი მენაბრეა, რომელსაც თიბისი ბანკისგან საჩუქრად ბინა გადაეცემა.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, თიბისი ბანკი კვლავ აგრძელებს ფილიალების ქსელის გაფართოებას და სერიოზულ ინვესტიციას ახორციელებს ამ მიმართულებით.

ქუთაისის ახალი ფილიალი, რომელიც დღეს საზეიმოდ გაიხსნება, თიბისი ბანკის მიერ 2009 წლის დასაწყისიდან გახსნილი რიგით მეოთხე ფილიალია.

ქუთაისის ახალი ფილიალი მომხმარებელს შესთავაზებს სრულ საბანკო მომსახურებას, რაც გულისხმობს ბანკის ყველა სახის პროდუქტისა და სერვისის მიწოდებას. ამასთან, ფილიალი მოემსახურება როგორც კერძო პირებს, ისე სხვადასხვა ორგანიზაციებსა და კომერციული კომპანიებს.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიების ბაზარზე
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ წამყვანი პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba 1

თიბისი ბანკის 7 თვის ფინანსური შედეგები

ქვეყანაში განვითარებული რთული ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მიუხედავად, თიბისი ბანკმა 2009 წელი საკმაოდ ოპტიმისტურად დაიწყო.

თიბისი ბანკის აქციონერთა რიცხვს შეემატა უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტები: ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი EBRD, ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანია FMO, აშშ-ს მსხვილი ბანკი JP Morgan და ინვესტიციების მართვის ბრიტანული კომპანია Ashmore. აქციონერთა შორის კვლავ რჩებიან საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC, გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია DEG და ქართველი კერძო პირები.

საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, თიბისი ბანკის კაპიტალი 40 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა, ბანკმა მიიღო 44 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სუბორდინირებული და 54 მილიონი აშშ დოლარის პრიორიტეტული სესხი.

2009 წლის ივლისში თიბისი ბანკის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები დინამიურად გაიზარდა. კერძოდ:

- **აქტივები** – ბოლო ერთ თვეში თიბისი ბანკის აქტივები 17 მილიონი ლარით გაიზარდა და 1 მილიარდ 682 მილიონ ლარს მიაღწია.
- **კაპიტალი** – 31 ივლისის მდგომარეობით, თიბისი ბანკის კაპიტალი შეადგენს 309.4 მილიონ ლარს. თუ შევადარებთ გასული წლის დეკემბრის მონაცემს, 2009 წლის 7 თვეში ბანკის კაპიტალი 64 მილიონი ლარით არის გაზრდილი.
- **ანაბრები** – ივლისში ფიზიკური პირების ანაბრების პორტფელის მოცულობა უპრეცედენტოდ – 39 მილიონი ლარით გაიზარდა და 516 მილიონ ლარს მიაღწია. აგვისტოს თმის შემდეგ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბანკის საცალო ანაბრების მოცულობა ნახევარ მილიარდს აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, თიბისი ბანკი სტაბილურად ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას და 10 წამყვან ბანკს შორის, დღეისთვის ბაზრის ყველაზე დიდი წილს, 30%-ს ფლობს. რაც შეეხება ჯამურ ანაბრების პორტფელს (კორპორატიული ანაბრები + კერძო პირების ანაბრები), ივლისში ეს მაჩვენებელი 42 მილიონი ლარით გაიზარდა.
- **სესხები** – დღეისათვის თიბისი ბანკის ჯამური საკრედიტო პორტფელი შეადგენს 1 მილიარდ 208 მილიონ ლარს. აქედან 424 მილიონი ლარი წარმოადგენს კერძო პირებზე გაცემული სესხების მოცულობას, ხოლო 784 მილიონი ლარი არის ბიზნეს-კომპანიებისთვის გამოყოფილი დაფინანსება.

ამასთან, თიბისი ბანკი წარმატებით ახორციელებს ანაბრების გათამაშებას „მოიგე ბინა და გახდი მილიონერი“, რომლის ფარგლებში უკვე გაიხსნა 24 ათასამდე ერთეული ახალი ვადიანი ანაბარი, ჯამური მოცულობით 204 მილიონი ლარი და 18 ათასი ერთეული „ჩემი სეიფის“ ტიპის ანაბარი.

წელს ხარისხის მართვის სისტემებში მსოფლიო ლიდერმა კომპანიამ **SAI GLOBAL**, თიბისი ბანკის მენეჯმენტის ხარისხის სისტემა შეაფასა და ბანკს, ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სერტიფიკატი **ISO 9001 : 2008** კიდევ ერთხელ მიანიჭა.

თიბისი ბანკის ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესება და დინამიური განვითარება ასევე აისახა საერთაშორისო რეიტინგზეც. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ **FitchRatings** 6 უმსხვილესი ქართული ბანკი შეამოწმა და მათ შორის თიბისი ერთადერთია, რომელსაც რეიტინგი აუმაღლდა. მანამდე არსებული „B“ კატეგორიის ნაცვლად, Fitch-მა თიბისი ბანკს „B+“ მიანიჭა.

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, JP Morgan, Ashmore და ქართველი კერძო პირები.